

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მედეა შენგელია

საავტორო უფლებების მართვა და მისი როლი ბიზნესის განვითარებაში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება; შიფრი - 02

თბილისი

2016 წელი

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსი- ტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების
დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი:

/რ. შენგელია /

რეცენზენტები:

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივლისში, ---- საათზე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე.

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერ- სიტეტის
ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატის – სტუ-ს ვებ-გვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

პროფესორი:

/ს. ხიზანიშვილი/

Symmary

The Actuality of the dissertation. In Georgia, the field of Copyright (creativity) is being formed and developed. Practically there is not a culture of copyright protection in the country. The copyright management has globally important role in the country's cultural and economic development. It is impossible to implement Copyright protection and management without relevant legal framework. Extentally this problem is in Georgia. Protection of Copyright in same kind of copyrighted work is not properly, because of There is same gaps in Georgian legislative and they are non-compliance with international standards.

The aim of the dissertation is new vision about importance development of copyright and it's management in the filed of civilized market economy and resulting to plan active functioning ways for the business activities. It should be noted that the present work is not study all have goals, but only of the issues what is less studied and treated.

The main objective of the dissertation is to set result of reaserch of the following tasks:

- to study socio-economic of copyright and analysis it's importance;
 - Review of the trends and patterns of development of copyright (copyright management) in foreign countries and to make recommendations for this project development in Georgia;
 - copyright protection, the prevention of violations and their effective means. And fair access to justice and effective enforcement mechanisms;
 - copyright protection impact on business development;
- The most markatable object – the music in music industry and to develop stratagem for in the areas of copyright management business, prevention measures to be taken for pirated copyrighted products and a new vision for the development of appropriate strategies.
- To research counterfeied copyrighted product sales, market studies and proposals in accordance recommendations.

The main novelties of the dissertation represent the following:

The main scientific novelty of the thesis lies in the following:

Identifying the place and the role of the copyright management in the developing of business, namely:

Effective management of copyright has a special meaning, because it, first of all, promotes creativity, and creativity, in turn, is the state of development of business and society .

Effective management of copyright means that the author receives appropriate remuneration from the using of his/her work by other persons. Because if the author in this

section will be protect, of course, it will be the incentive to create more work and to expand copyrighted objects (works).

In the condition of market economy, a wide selection of copyrighted works means to invest them in their business.

The among of the most popular copyrighted work is musical compositions, which can be invested in the music industry and the result of this, it is possible to create a phonograms producer company and to published music albums for sales.

It's time to created music publisher, who will take care of the music album of works and to promote, marketing and to sales their authors' works.

in Georgia, there is possibility to enter foreign major music publishers and thus it will be possible to sale works in various sectors, which will be reasonably and legal activities. It will be benefit in business companies, it's ultimately become a source of income for authors and they will be available to consumers (society)finally, what will develop economy and culture..

- the main importance of copyright management is offered in new mechanizm, as the result "pirated business" will be prohibited in the field of copyright, which will contribute to develop honest and social focused, legal "Intellectual business".

It is offered as a Scientific novelty –new mechanize about governmental regulated competition in the filled of copyright management. It is to make new law about competition and competition agency. It will be granted more effective mechanisms. It is make a flexible system of tax and business law and etc.

- Scientific novelty is offered mechanisms about ensure protection copyright by law. It is a necessary to manage copyright it will be protected effect. Nowadays, in Georgia , one of the mechanism to protect copyright is court. We think it will be good if there is special court system, which will be fast and competitive. It is necessary, to make internet protocol for Legal support internet Business entities and it is important that it will be implemented very fast and effect. This protocol must set secondary liability of internet service provider.

- As the base of analysis copyright management in the filled of creativity, there is summery, that it is positive impact of national business development. There is a competitive existing business. Finally we have same recommendation for their implementation as the base of most successful business models.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. საავტორო უფლებების (შემოქმედების) სფერო საქართველოში ახლა ვითარდება და ყალიბდება. პრაქტიკულად ქვეყანაში ჩამოყალიბებული არ არის საავტორო უფლებების დაცვის კულტურა. არადა საავტორო უფლებების მართვას მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ქვეყანის კულტურულ და ეკონომიკური განვითარების პროცესში. საავტორო უფლებების დაცვისა და მართვის სრულყოფილად განხორციელება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გარეშე შეუძლებელია, ეს პრობლემა გარკვეულწილად საქართველოშიც დგას. საავტორო უფლებების დაცვა ზოგიერთ ობიექტზე შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებში არსებული ხარვეზების ან/და მათი საერთაშორისო სტანდარტებისადმი შეუსაბამობის გამო, სათანადოდ ვერ ხორციელდება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, განსაკუთრებით კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია საავტორო უფლებების მართვის როლი დღევანდელ ვითარებაში, როდესაც საქართველო იმყოფება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DC FTA) მიღწევის პროცესში. როგორც ცნობილია, საქართველოსთან DCFTA-ზე მოლაპარაკებების დაწყების გადაწყვეტილება ევროკავშირმა 2011 წლის 05 დეკემბერს მიიღო, რომლის მიღწევაც საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტია. დღესდღეობით უკვე განხორციელებულია შეთანხმების ხელმოწერა და საქართველოს ნაკისრი ვალდებულების შეასრულება ევალება. შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან, რომელთა შესრულებაც შეთანხმების გაფორმებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ხელმოწერი სახელმწიფოსათვის, ერთ-

ერთი ძირითადი იყო, სწორედ ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების და მათ შორის საავტორო უფლებების დაცვა.

ამასთანავე საყურადღებოდ მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ საავტორო უფლებების მართვის საკითხის დაკავშირება ზოგადად ბიზნესის განვითარებასთან პირველი მცდელობაა საქართველოში. შესაბამისად ბევრი პრობლემა მოითხოვს ახლებურ გაანალიზებას და მისი გადაწყვეტისათვის აუცილებელია კონკრეტული გზების დასახვა.

კვლევის მიზანია ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში საავტორო უფლებების მართვის არსის, საავტორო უფლებების დაცვის განვითარების, მნიშვნელობის ახლებური ხედვა და ამის საფუძველზე ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის ეფექტიანი ფუნქციონირების გზების დასახვა.

აღსანიშნავია ის, რომ წინამდებარე ნაშრომი ყველა საკითხის შესწავლას არ ისახავს მიზანად, არამედ მხოლოდ იმ საკითხებისა, რომელიც ამ სფეროში ნაკლებად არის შესწავლილი და დამუშავებული.

დისერტაციაში დასმული ძირითადი მიზნის რეალიზაციისთვის გათვალისწინებულია კვლევის შედეგად შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- საავტორო უფლებების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის შესწავლა და გაანალიზება
- საავტორო უფლებების განვითარების მოდელებისა და ტენდენციების მიმოხილვა უცხოური ქვეყნების მაგალითზე და მათ საფუძვლებზე საქართველოში საავტორო უფლებების მართვის განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
- საავტორო უფლებების დაცვა, დარღვევები და მათი აღკვეთის ეფექტური საშუალებები. ხელმისაწვდომი და სამართლიანი მართლმსაჯულება და აღსრულების ეფექტური მექანიზმების შემუშავება
- საავტორო უფლებების დაცვის გავლენა ბიზნესის განვითარებაზე,

ყველაზე მოთხოვნადი ობიექტის -მუსიკლური ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მართვა მუსიკალური ინდუსტრიაში და ამ სფეროს ბიზნესის განვითარებისათვის სტრატეგიების შემუშავება, პირატული ყალბი საავტორო უფლებით დაცული პროდუქციის აღკვეთისათვის გასატარებელი ღონისძიებები და ახლებური ხედვა სათანადო სტრატეგიების შემუშავებისათვის.

- ყალბი (პირატული) საავტორო უფლებით დაცული პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრის კვლევა და შესაბამისად პრაქტიკული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება.

კვლევის ობიექტია საავტორო უფლებების მართვის თეორიულ-პრაქტიკული ანალიზი, ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მაგალითზე საავტორო უფლებების ეფექტური მართვის გამოცდილებათა შესწავლა და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია როგორც ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსთა ფუნდამენტური გამოკვლევები, ისე თანამედროვე გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მეცნიერებათა ნაშრომები.

კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ეროვნული და საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურა, პუბლიკაციები პერიოდულ გამოცემებში, საკვლევი თემის საკითხებზე ჩატარებული კონფერენციების მასალები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.

ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

საავტორო უფლებების მართვის ადგილისა და როლის განსაზღვრა ბიზნესის განვითარებაში, კერძოდ:

– საავტორო უფლებების ეფექტურ მართვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან იგი, პირველ რიგში, ხელს უწყობს შემოქმედებას, ხოლო შემოქმედება, თავის მხრივ, ბიზნესის, საზოგადოების და ასევე სახელმწიფოს განვითარების საფუძველია.

საავტორო უფლების ეფექტური მართვა ნიშნავს იმას, რომ ავტორმა მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება საკუთარი ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენებიდან, რადგან თუ ავტორი ამ ნაწილში დაცულია, ცხადია, ეს იქნება მისთვის წამახალისებელი საშუალება შექმნას მეტი ნაწარმოები და გაფართოვდეს საავტორო უფლებით დაცული ობიექტები (ნაწარმოებები).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების ფართო არჩევანი ნიშნავს მათ დაბანდებას სხვადასხვა ბიზნესში.

საავტორო უფლებით დაცულ ობიექტებს შორის დღესდღეობით ყველაზე მოთხოვნადი ნაწარმოებია მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც შეიძლება დაბანდდეს მუსიკალურ ინდუსტრიაში, ასევე შესაძლებელია შეიქმნას ფონოგრამის მწარმოებელი კომპანია, გამოიცეს და გაიყიდოს მუსიკალური ალბომები.

ასევე შეიძლება შეიქმნას მუსიკალური გამომცემლობები, რომლებიც მუსიკალური ალბომების გამოცემასთან ერთად იზრუნებენ ნაწარმოებების და მათი ავტორების პოპულარიზაციაზე (პრომოუშენზე) და მარკეტინგულად დააგეგმარებენ ნაწარმოებების რეალიზაციას.

ბიზნესის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს უცხოური მსხვილი მუსიკალური გამომცემლობების წარმომადგენლობების დაფუძნება საქართველოში, რითაც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა სექტორში ნაწარმოებების რეალიზაცია, რომლებსაც შეუძლია გონივრული და კეთილსინდისერი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში სერიოზული მოგება მოუტანოს ბიზნეს კომპანიებს, გახდეს შემოსავლის წყარო ავტორებისათვის და, საბოლოო ჯამში, ხელმისაწვდომი იყოს მომხარებლებისათვის (საზოგადოებისათვის). ყოველივე ეს, განავითარებს ქვეყნის ეკონომიკას და კულტურასაც.

- საავტორო უფლებების მართვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს ასევე ჩვენს მიერ შემოთავაზებულ საავტორო უფლებების

მართვის ახალი მექანიზმებში, რომლის თანახმად აღკვეთილი იქნება საავტორო უფლებების სფეროში არსებული ე.წ. „მეკობრული ბიზნესი“, რაც ხელს შეუწყობს კეთილსინდისიერი და სოციალურად ორიენტირებული, ლეგალური „ინტელექტუალური ბიზნესის“ განვითარებას.

-მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე საავტორო უფლებების გამოყენების-მართვისა და დაცვის სფეროში ბიზნეს სუბიექტების კონკურენციის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეფექტური მექანიზმების შემოთავაზება, რაც მდგომარეობს კონკურენციის სააგენტოს როლის გააქტიურებაში, მისთვის მეტი ქმედითი მექანიზმების მინიჭებაში, მოქნილი საგადასახადო და სამეწარმეო სამართლის სისტემის შექმნაში და აშ.

- საავტორო უფლებების ეფექტური მართვისთვის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ასევე, ჩვენს მიერ შემუშავებული საავტორო უფლებების დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმები. კერძოდ, საავტორო უფლებების ეფექტური მართვის განხორციელებისათვის აუცილებელია საავტორო უფლებების ეფექტური დაცვა, ხოლო დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია სასამართლო. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე სპეციალიზებული სასამართლო სისტემის შემოღება, რომლიც მეტად სწრაფს გახდის მართლმსაჯულებას, აგვარიდებს გადატვირთულ და გაჭიანურებულ სასამართლო დავებს, ხოლო დარღვევის ფაქტებზე მოხდება სწრაფი კომპეტენტური რეაგირება. ასევე საავტორო უფლებების სფეროში მოქმედი ელექტრონული ბიზნეს სუბიექტების საქმიანობისათვის სამართლებრივი უზრუნველყოფა იქნება ინტერნეტ წესების საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბება და მათი სათანადო აღსრულება. ამ წესებით უნდა განისაზღვროს ინტერნეტში საავტორო უფლებით დაცულ პროდუქციაზე, როგორც ბიზნესის, ასევე მომხმარებლის ქცევის წესები.

- შემოქმედებით საქმიანობაში - საავტორო უფლებების ეფექტური მართვის მეთოდების გაანალიზების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ იგი პოზიტიურ გავლენას ახდენს ეროვნული ბიზნესის განვითარებაზე, კონკურენტუნარიანს ხდის არსებულ ბიზნეს სუბიექტებს და ამ მიმართულებით მსოფლიოში ყველაზე წარმატებული მოდელების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები მათი დასაწერად საქართველოში, განსაკუთრებით მუსიკალური ინდუსტრიის სფეროში.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას: ა) ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ საავტორო უფლებების სფეროში საჯარო პლიტიკის განხორციელების დროს; ბ) იმ მეცნიერების მიერ, რომლებიც მუშაობენ საერთოდ სოციალურ პრობლემებზე; გ) საავტორო უფლებების სფეროში მოქმედი ბიზნეს სუბიექტებისა და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების მიერ და შემოქმედებით სფეროში მოღვაწე პირების მიერ.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა დისერტანტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე წარმოდგენილ მოხსენებებში (თბილისი, 2014, 2015 წ.წ.), სამეცნიერო-საჟურნალო პუბლიკაციებში, სამეცნიერო სემინარებზე გაკეთებულ მოხსენებებში.

პუბლიკაციები: ნაშრომის შედეგებმა ასახვა ჰპოვა ასევე ავტორის მიერ გამოქვეყნებულ 3 სამეცნიერო სტატიაში, რომლებიც გამოქვეყნდა ყოველთვიურ საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს 145... გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. სადისერტაციო ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

კვლევის დასახულმა მიზანმა, ამოცანებმა და პრობლემების გადაწყვეტის ლოგიკამ განაპირობა დისერტაციის შემდეგი სტრუქტურა:

შესავალი

1. საავტორო უფლებების მართვის არსი და მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

1.1 საავტორო უფლებათა მართვის არსი და მისი თავისებურებანი ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკის პირობებში

1.2 საავტორო უფლებათა დაცვის განვითარების მოდელები და ტენდენციები

1.3 საავტორო უფლებათა დაცვის ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები

2. საავტორო უფლებათა მართვა - ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი პირობა

2.1 ინვესტიციები და მათი როლი საავტორო უფლებების დაცვის სასურველი გარემოს ჩამოყალიბებაში

2.2 უცხოური ინვესტიციები საქართველოში და მათი გავლენა საავტორო უფლებების დაცვაზე

3. საავტორო უფლებათა მართვა და ეროვნული ბიზნესის განვითარების გზები (მუსიკალური ინდუსტრიის მაგალითზე)

3.1 საავტორო უფლებების მართვა და საგადასახადო სისტემა

3.2 სახელმწიფოს როლი საავტორო უფლებათა რეალიზაციასა და დაცვაში

3.3 საავტორო უფლებების მართვა და მუსიკალური ინდუსტრიის (ეროვნული შოუ ბიზნესის) განვითარება

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის მოკლე შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა. დახასიათებულია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა. გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანები, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა. ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე, ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. მოცემულია აგრეთვე ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის, მასთან დაკავშირებული პუბლიკაციების, დისერტაციის სტრუქტურისა და მოცულობის შესახებ.

პირველი თავი - საავტორო უფლებების მართვის არსი და მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ეხება ნაშრომის კონცეპტუალურ საფუძვლებს. მასში მოცემულია საავტორო უფლებების მართვის არსი, ასევე სოციალურ-ეკონომიკური არსი და მისი ახლებური გაგება. წინა პლანზეა წამოწეული საავტორო უფლებების მართვის სოციალური ასპექტები. მეცნიერ-ეკონომისტთა საყურადღებო შეხედულებების გათვალისწინებით, საკითხის ქვეყნის წარმოების სოციალური მიზნიდან გამომდინარე მოცემულია შემდეგი ფორმულირება:

საავტორო უფლებების მართვა არის საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენების კონტროლი, გამოყენებაზე ნებართვის (ლიცენზიის) გაცემა და საავტორო ჰონორარის შეგროვება. საავტორო უფლებების მართვა შესაძლებელია განხორციელდეს **ინდივიდუალური წესით** უშუალოდ ავტორის მიერ (ავტორმა აკონტროლოს ვინ იყენებს თავის რეპერტუარს, მოახდინოს რეგირება არაკანონიერ გამოყენებაზე, კანონიერ გამომყენებლებს (მოსარგებლებს) მისცეს ნებართვა მისი ნაწარმოების გამოყენებაზე და შეუთანხმდეს ნაწარმოების გამოყენებიდან გადასახდელ საავტორო ჰონორარის ოდენობაზე) ან კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მეშვეობით (ორგანიზაციამ განახორციელოს მონიტორინგი საავტორო უფლებით დაცული

ობიექტების გამოყენების, ავტორების სახელით გასცეს ნებართვები და შეაგროვოს საავტორო ჰონორარი, რომელიც უნდა გადაერიცხოს უშუალოდ ავტორებს).

გარკვეულმა სირთულეებმა გამოიწვია აუცილებლობა საქართველოს საავტორო კანონმდებლობას გაეთვალიწინება შექმნილიყო საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს და იცავს საავტორო უფლებების მფლობელთა ქონებრივ უფლებებს. ასეთი ორგანიზაციისათვის საავტორო უფლებების სამართავად გადაცემა ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს. ავტორი ან უფლების მფლობელი, რომელიც წევრიანდება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციაში, ავალებს ორგანიზაციას იყოს მისი წარმომადგენელი, რის საფუძველზეც ხდება საავტორო უფლებების რეალიზაცია, დაცვა და განხორციელება (მართვა).

საავტორო უფლებების მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუსიკალური ნაწარმოებების ინტერნეტში გამოყენებისას. ახალი ტექნოლოგიები თავისთავად წარმოშობს ფართო შესაძლებლობებს, როგორც შემოქმედი ადამიანებისათვის, ისე მომხმარებლებისა და სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, რაც ამავდროულად ზრდის მოთხოვნას შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი ობიექტების (ფილმი, მუსიკა, კინო და ა.შ) ინტერნეტში ხელმისაწვდომობას, რასაც არა აქვს არანაირი საზღვარი და არ ემორჩილება რომელიმე ქვეყნის ინსტრუქციებს თუ აკრძალავებს. ასეთ პირობებში ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას უჭირავს მნიშვნელოვანი როლი საავტორო უფლებების მართვასა და განვითარებაში, განსაკუთრებით მუსიკალური ნაწარმოებების ინტერნეტში გამოყენებისას ლიცენზიების გაცემის ნაწილში.

ნაშრომში განხილულია ასევე საავტორო უფლებების დაცვის განვითარების მოდელები და ტენდენციები. პირველად საავტორო უფლებების

წარმოშობა და განვითარება უკავშირდება საფრანგეთში დედოფალ ანას სტატუსს. საავტორო უფლება წარმოიშვა ნაწარმოების კოპირებიდან .თავიდან მას „კოპირების უფლებას“ უწოდებდნენ. ასვე ყურადღება გამახვილებულია საავტორო უფლებების დაცვის რასზე და მის ეკონომიკურ-სოციალურ ასპექტებზე. ვინაიდან საავტორო უფლებების დაცვა პირდაპირ პროპორციულად გავლენას ახდენს ნაწარმოების ავტორის სოციალურ მდგომარეობაზე. საავტორო უფლებების ეფექტური მართვა და დაცვა გულისხმობს ავტორის ნაწარმოების გამოყენების მაქსიმალურ კონტროლს და გამოყენების პროპორციული საავტორო ჰონორარის შეგროვებას. რაც უფრო მეტად შეგროვდება საავტორო ჰონორარი, მით უფრო მეტად გაუმჯობესდება შემოქმედი ადამიანის სოციალური მდგომარეობა, რაც, ერთის მხრივ წახალისებს მას შექმნას მეტი ახალი ნაწარმოები და ამით განავითაროს ქვეყნის კულტურა. მეორე მხრივ, ამ ობიექტებით მოსარგებლებს მიეცემათ შესაძლებლობა წვდომა ქონდეთ ახალ რეპერტუართან. გარდა აღნიშნულისა ავტორის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი შემოსავლის წყაროდ ქცეული შემოქმედება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკურ სარგებელს. ნაწარმოებების გამოყენება და მისით პირდაპირ თუ არაპირდაპირ შემოსავლის მიღება წარმოადგენს ბიზნეს საქმიანობას, რომელიც ,როგორც წესი, იხდის ბიუჯეტში გადასახადებს. საავტორო უფლებების წარმატებით რეალიზაციის შემთხვევაში ამ კაპიტალს მისი მფლობელისათვის მოაქვს უფრო მაღალი მოგება, ბიზნესი ვითარდება, (ყიდის, იყენებს საავტორო უფლებით დაცულ ობიექტს და ამით იზიდავს მომხმარებელს), ხოლო ადამიანს, ვინც შექმნა ასეთი ობიექტები აქვს შემოსავალი, არ ფიქრობს სხვა სამსახურზე და თავისი სიცოცხლის დარჩენილ დროს უთმობს კვლავ ახალა შემოქმედებას.

აღნიშნული საკითხების კვლევის შედეგად გაკეთებულია მთელი რიგი დასკვნები, რომლებიც შეიძლება განვრცობადი იყოს ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

მეორე თავში - საავტორო უფლებების მართვა - ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი პირობა- ეხება ინვესტიციებს და მათ როლს საავტორო უფლებების დაცვის სასურველი გარემოს ჩამოყალიბებაში , ასევე ნაშრომში განხილულია უცხოური ინვესტიციების გამოყენება საავტორო უფლებების სფეროში და სახელმწიფო მექანიზმები. ინვესტიციების როლი საავტორო უფლებების დაცვაში განუზომლად დიდია. ეკონომიკურ უსაფრთხოებათა სისტემა, რომელშიც ხორციელდება ინვესტიციური რესურსების ბრუნვა, გამოდის, როგორც ინვესტიციური რესურსების წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების ერთიანი პროცესი. ამ პროცესის უწყვეტობის, განმეორებადობის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, მათ შორის საავტორო უფლებით დაცული პროდუქციის რეალიზაცია. განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში საავტორო უფლებების განვითარების კუთხით მუსიკალური ინდუსტრიაში უცხოური ინვესტორების მოზიდვის საკითხი.

საქართველოში მუსიკალური ინდუსტრია მხოლოდ თეორიულ დონეზე არსებობს, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მეკობრეობა ქვეყანაში, რომელმაც აბსოლუტურად ყველა რეკორდი მოხსნა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონმდებლობის დაცვა და იმპლემენტაციის ვალდებულება აღებული იყო - ერთი მხრივ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს და მეორე მხრივ, ასევე სულ ახლახანს ევროკავშირთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების პერიოდში.

ზოგადად საქართველოში მუსიკალური პროდუქციის ძალიან მცირე გაყიდვებია. ეს ადამიანის ბუნებრივი ფსიქოლოგიიდან გამომდინარეობს- როდესაც არსებობს რაღაც უფასოდ, მაშინ რატომ გადაიხდის ფულს იგივეში.

მუსიკალური ინდუსტრიის განვითარებისათვის საქართველოში და უცხოელი ინვესტორების ამ სფეროთი მეტი დაინტერესებისათვის აუცილებელია ჩვენი მენტალობის პრობლემაც გადაწყდეს. მომხმარებლებმა

უნდა გაიგონ, რომ ეს არის უნებართვოდ სხვისი ნივთის მითვისება და ქურდობა. ამას უნდა სკოლის ასაკიდანვე სწავლება. აუცილებელია შეიქმნას სასწავლო პროგრამები, რომლებიც უნდა დაინერგოს როგორც სკოლებში ასევე უმაღლესი სასწავლებლებში.

ერთ-ერთი მსხვილი უცხოური ინვესტორი სონი მუზიკ უნივერსალი პირველად შემოვიდა საქართველოში 2014 წელს და გარკვეული შეზღუდული უფლებამოიღება გადასცა ერთ-ერთ ქართულ კომპანიას იმიტომ, რომ მუსიკოსები, მათი მენეჯმენტი, პროდუსერები, ძალიან მკაცრად აკვირდებიან გეოგრაფიულ წერტილებს - სად, როგორ მიდის გაყიდვები და ამ მხრივ საქართველოს ძალიან ცუდი რეპუტაცია აქვს. ამიტომ შეიძლება ხშირად აქ ზოგიერთი ვარსკვლავი თავს იკავებს ჩამოსვლისგან. აღნიშნული კი უიმედო და ტრაგიკული მდგომარეობაა და სასოწარკვეთას იწვევს ქვეყანაში მუსიკის განვითარების კუთხით, რადგან პრაქტიკულად დაუცველები არიან მუსიკოსები და მუსიკის სფეროში დასაქმებული ადამიანები.

ამ სფეროში ინვესტიციები გულისხმობს წარმოების გაფართოებას ან/და განახლებას და მისი მიზანია შემოსავლის გადიდება ავანსირებული კაპიტალის ნამატის სახით, ეკონომიკური ზრდისათვის მატერიალური საფუძვლების და წინაპირობების შექმნა. აუცილებელია სახელმწიფომ ხელსაყრელი პირობები შექმნას შემოქმედებითი სფეროს წახალისებისთვის. გაიმართოს სხვადასხვა ტიპის საკონკურსო ღონისძიებები, სადაც მომღერლებსა და კომპოზიტორებს საშუალება მიეცემათ გაიტანონ მათი ნამუშევრები. აღნიშნული აქტივობით, ერთი მხრივ, ხელი შეეწყობა ნაწარმოების პოპულარიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელმისაწვდომი გახდება ის მომხმარებლებისა და ბიზნეს სუბიექტებისათვის. ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება საავტორო უფლებების დაცვაში არის ერთადერთი საფუძველი შეიქმნას საინტერესო გარემო ინვესტიციების დაბანდებისათვის. გამომდინარე აქედან, საჭიროა გავითვალისწინოთ ინვესტირების როგორც

მაკროეკონომიკური ფაქტორები (გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობა, საინვესტიციო გარემო, სახელმწიფოს ინვესტიციური აქტივობა, საკრედიტო რესურსების მიღების შესაძლებლობა), ისე მიკროეკონომიკური ფაქტორები (წარმოების მასშტაბები, საწარმოო ციკლის ბრუნვის სიჩქარე, საწარმოო პოტენციალის ხარისხობრივი დონე, პროდუქციაზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების ელასტიურობა, შიდა რესურსებით უზრუნველყოფისა და გარე რესურსებზე დამოკიდებულების დონე). ამ ორი ჯგუფის ფაქტორთა ურთიერთზემოქმედება განაპირობებს კვლავწარმოების რეალური განხორციელების შესაძლებლობას, რაც აუცილებლად ხელს შეუწყობს მუსიკალურ ინდუსტრიაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და საბოლოო ჯამში მის განვითარებას ქვეყანაში.

ტრანსფორმირებად ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების სხვადასხვა გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარე შემოთავაზებულია ზოგადი კანონზომიერებანი, რომლებიც გასათვალისწინებელია საქართველოში უცხოური კაპიტალის ინვესტირების განვითარების სტრატეგიის, სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას :

ა. ყველა ქვეყანა, ამა თუ იმ ზომით, ცდილობს მიაღწიოს ოპტიმალურ თანაფარდობას საკუთარ და უცხოურ ინვესტიციებს შორის, საჭიროებისამებრ წახალისოს კიდევ ხან ადგილობრივი, ხან უცხოური ინვესტიციები;

ბ. ყველა ქვეყანა ითხოვს უცხოური ინვესტიციების რეგისტრაციას, რომელიც, ალბათ უფრო გამარტივებული ფორმით უნდა მოხდეს;

გ. ყველა ქვეყანაში არის ეკონომიკის ისეთი დარგები თუ სფერო, სადაც ითხოვენ სპეციალურ ნებართვას ინვესტირებისათვის;

დ. ყველა ქვეყანაში არის ისეთი დარგი, სფერო, რომლებიც ჩაკეტილია უცხოური კაპიტალისათვის, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის, ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით გამართლებულია.

გარდამავალი ეკონომიკის თითქმის უმრავლესობაში ინვესტიციები ძირითადად მიემართება ინოვაციური საქმიანობის დასაფინანსებლად. ეს ტენდენცია არც საქართველოში უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. მიმართულება, ვექტორი სწორად არ იქნება შერჩეული, თუ ახალი წარმოებების, ინოვაციური, ცოდნაზე დაფუძნებული დარგების ჩამოყალიბებაში მხოლოდ უცხოური ინვესტიციების იმედზე ვიქნებით. ისევე როგორც ნებისმიერი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნისთვის, ასევე საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების გამოყენება. სასარგებლოა ამა თუ იმ ქვეყნის საინვესტიციო გამოცდილების ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით გაზიარება როგორც განვითარების ფაქტორის - ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი პოტენციალის მობილიზებაში, მაგრამ მისი მთავარი აქცენტი იმპორტშემცვლელი წარმოების ზრდასა და საექსპორტო კონკურენტუნარიანი ინოვაციური, კრეატიულ ცოდნაზე დაფუძნებული კრეატიული პროდუქციის წარმოებაზე უნდა გაკეთდეს. უცხოური ინვესტიციის გამოყენება განსაკუთრებით უნდა წარიმართოს ეროვნული ეკონომიკის იმ სფეროებში, რომელთა გააქტიურებას შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს აღნიშნულ სფეროებში ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევაში, არსებული სოციალური დაძაბულობის შემცირებაში და დასაქმების ზრდაში. მუსიკალურ ინდუსტრიაში ჩადებული უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციას აქვს ბევრი დადებითი ეფექტი, კერძოდ: ა) ის შექმნის ბევრ სამუშაო ადგილს, მუსიკის სფეროში ჩამოყალიბდება სხვადასხვა ხმის ჩამწერი სტუდია, რომელიც შეძლებს ჩაწეროს და გამოსცეს ახალი ნაწარმოებები, ბ) დაფუძნდება ახალი ორგანიზაციები, რომლებიც იქნებიან ცნობილი მსხვილი მუსიკალური გამომცემლობების (music publishers) წარმომადგენლები საქართველოში. აღნიშნული ორგანიზაციის მეშვეობით შეიქმნება შესაძლებლობა კანონიერად ხელმისაწვდომი გახდეს სხვადასხვა ბიზნესისათვის და მათ შორის მომხმარებლებისათვის უცხოური რეპერტუარი.

იმისათვის რათა, საქართველო გახდეს საინტერესო ქვეყანა უცხოური ინვესტიციებისათვის, აუცილებელია არსებობდეს მყარი სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც იქნება ეფექტური მათი უფლებების დაცვისათვის. გამომდინარე აქედან ქვეყანაში უნდა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

- ა) განხორციელდეს საჭირო ცვლილებები არსებულ საკანონმდებლო ბაზაში;
- ბ) დაინერგოს საკანონმდებლო ბაზის ეფექტური აღსრულების მექანიზმები;
- გ) განხორციელდეს ადგილობრივი მუსიკალური ნაწარმოების პოპულარიზაცია;
- დ) შეიქმნას ადგილობრივი ავტორების შემოქმედების ხელშემწყობი და წამახალისებელი მექანიზმები;
- დ) განხორციელდეს საავტორო უფლებების დაცვის სფეროში ზოგადი განათლების დონის ამაღლება (საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება).

საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის კუთხით საჭირო საკანონმდებლო ცვლილებად მიმაჩნია სპეციალიზებული სასამართლო სისტემის შემოღება ინტელექტუალური საკუთრების (საავტორო უფლების) დაცვის სფეროში, რომლის არაერთი მაგალითი არსებობს მოწინავე ქვეყნებში, მაგალითად, როგორცაა - საავტორო უფლებების ტრიბუნალები (Copyrights Tribunals). არღნიშნული ტრიბუნალები განიხილვენ, მხოლოდ საავტორო უფლების დარღვევიდან გამომდინარე საქმეებს. მოცემული ცვლილების განხორციელება ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რათა გარანტირებულ იქნას უფლების მფლობელებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სანქციების ეფექტური იმპლემენტაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში არ ფუნქციონირებს სპეციალიზებული ინტელექტუალური

საკუთრების სასამართლოები და დღეს არსებული სისტემა (საკანონდებლო ბაზა) არ იძლევა ამის საშუალებას. არსებული მდგომარეობით საერთო სასამართლოები განიხილავენ საავტორო უფლებების დარღვევის საქმეებს სხვა კატეგორიის საქმეებთან ერთად. იმის გამო, რომ სასამართლო გადატვირთულია სხვა ტიპის საქმეებით, საერთო სასამართლოში საავტორო უფლებასთან დაკავშირებული საქმის ბოლო ინსტანციამდე დასრულებას თითქმის მინიმუმ სამი წელი სჭირდება. აღნიშნული კი ახალისებს დამრღვევს სამი წლის მანძილზე თავისუფლად გრძნობდეს თავს, გააგრძელოს თავისი საქმიანობა და სამი წლის ბოლოს უკეთეს შემთხვევაში დახუროს (დაარსოს ახალი იურიდიული პირი და ძველი იურიდიული პირის საქმიანობა შეაჩეროს) და ამით დაუსხლტდეს ხელიდან პასუხიმგებლობას.

ზემოაღნიშნულის თვალსაჩინოებისათვის, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი შემთხვევა. დღეს არსებული მეწარმეთა შესახებ საქარველოს კანონი ნებისმიერ პირს აძლევს უფლებას, დააფუძნოს სამეწარმეო იურიდიული პირი ნულოვანი საწესდებო კაპიტალით. ამისათვის აუცილებელია მარეგისტრირებელ ორგანოში მისვლა, სადამფუძნებლო დოკუმენტაციის წარდგენა და 100 (ასი) ლარის გადახდა. შემდგომ ეს იურიდიული პირი იწყებს სამეწარმეო საქმიანობას მუსიკალურ ინდუსტრიაში. კერძოდ ამზადებს კონტაფაქციულ CD,DVD პროდუციას და ყიდის ხელმისაწვდომ ფასად, ან უკეთეს შემთხვევაში ხსნის ინტერნეტ გვერდს, სადაც განათავსებს მოპარულ მუსიკალურ ნაწარმოებებს და იწყებს მათ გაყიდვას ჩამოტვირთვის საშუალებით, ან იღებს სარეკლამო შეკვეთებს თავის გვერდზე განსათავსებლად (მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებით მიღებული არაპირდაპირი შემოსავალი). აქედან გამომდინარე, უფლების მფლობელს რჩება შესაძლებლობა აწარმოოს სასამართლო დავა, რომელიც საკამოდ ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი და დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამასობაში დამრღვევი სრულიად უსფუძვლოდ და

არაკანონიერად იღებს შემოსავალს, შემდგომ კი აფუძნებს კვლავ ახალ იურიდიულ პირს, რომლითაც გაურბის გასულ პერიოდზე ჩადენილ ქმედებაზე ფინანსურ პასუხიმგებლობას (სასამართლოს გადაწყვეტილება რჩება აღუსრულებელ გადაწყვეტილებად). თუ სასამართლო სამი წლის შემდეგ დააკისრებს რაიმე სახის თანხას, საავტორო უფლების მფლობელი ამ თანხას ვერსადროს ამოიღებს. ის იურიდიული პირი კი ისტორიას დარჩება საქმიანობა შეჩერებული პირის სტატუსით.

ერთი მხრივ, ბიზნესის განვითარების წახალისების კუთხით კარგია, ქვეყანაში არსებობდეს ნულოვანი კაპიტალით სამეწარმეო სუბიექტების დაფუძნების შესაძლებლობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ საქართველოს სამწარმეო კანონმდებლობაში აუცილებელია ჩაიდოს ზემოაღნიშნული შემთხვევების ხელიშემშლელი და დამცავი მექანიზმები.

რაც შეეხება არსებული საკანონდებლო ბაზის ეფექტურად აღსრულებას, აუცილებელია კონკურენციის სააგენტოს როლის გააქტიურება მუსიკალურ ინდუსტრიაში არალეგალური ბიზნეს საქმიანობის აღმოსაფხვრელად. ასევე სასამართლო სისტემაში დაჩქარებული წესით გადაწყვეტილებების გამოტანა და მათი ეფექტური აღსრულება, რასაც სპეციალიზებული სასამართლო სისტემის შემოღება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს. ასევე მნიშვნელოვანია ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგამომიებო ორგანოების როლის გააქტიურება, სპეციალური საპოლიციო რეიდების მოწყობისა და საგამომიებო საქმიანობის დაჩქარებული წესით განხორციელების გზით. ამით ქვეყანაში დამკვიდრდება შიშის სინდრომი, რომ საავტორო უფლების დარღვევა დასჯადი ქმედებაა და ამისათვის შესაძლებელია დადგეს სისხლის სმართლებრივი პასუხიმგებლობაც.

მუსიკალურ ინდუსტრიაში საავტორო უფლებების განვითარების გარემოს შესაქმნელად აუცილებელია ადგილობრივი მუსიკალური რეპერტუარის პოპულარიზაცია. კულტურისა და შემოქმედებითი

ინდუსტრიების განვითარება და მათი საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციისათვის, ქვეყნის ეკონომიკაში კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოტენციალის გამოყენებისათვის სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მათ განვითარებას და ეროვნული კულტურის საერთაშორისო კულტურულ სივრცეში დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას. სახელმწიფომ უნდა გაიღოს დაფინანსება სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში ქართველი ავტორების მონაწილეობისათვის, გაიცეს დაფინანსებები სხვადასხვა ღონისძიებების გამართვისა და ადგილობრივი მუსიკალური რეპერტუარის ფართო მასშტაბიანი გამოცემებისათვის.

გარდა ამისა, აუცილებელია გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები მუსიკალურ ინდუსტრიაში საავტორო უფლებების დაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებისა და უფლების მფლობელებთან ეფექტური დიალოგის უზრუნველყოფის კუთხით. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდეს სემინარები და სამუშაო შეხვედრები, დაიბეჭდოს საინფორმაციო ხასიათის ბიულეტენები და ფლაერები. შემუშავდეს საგანმანათლებლო სახელმწიფო პროგრამა საავტორო უფლებების სფეროთი დაინტერესებული პირებისათვის. აქტიურად გაშუქდეს მასმედიის საშუალებით საავტორო უფლებების დარღვევისა და მასზე რეაგირების ფაქტები. მოეწყოს გადაცემები საავტორო უფლების დაცვის საკითხებზე.

მესამე თავში - საავტორო უფლებათა მართვა და ეროვნული ბიზნესის განვითარების გზები (მუსიკალური ინდუსტრიის მაგალითზე) შესწავლილია საავტორო უფლებების მართვის დინამიკა და სტრუქტურა, ნაჩვენებია საავტორო უფლების მფლობელთა და ბიზნეს სუბიექტების ინტერესთა თანხვედრის გზები. დასაბუთებულია, რომ საავტორო უფლებების მართვის ეფექტიანობა საქართველოში დიდად არის დამოკიდებული როგორც ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის განვითარებაზე, ასევე უცხოელი ინვესტორების,

რეციპიენტისა და საზოგადოების ინტერესთა დაცულობაზე, თანხვედრაზე; ადგილობრივი წარმოების განვითარების მიმართულებით დიდი რეზერვებია ფიზიკურ გაყიდვებში (ხმის ჩამწერი სტუდიები, ფილმგადამღები კომპანიების დაარსება, ფონოგრამის მწარმოებელი კომპანიების დაფუძნება), ელექტრონულ ბიზნესის (ინტერნეტი) სფეროში.

საავტორო უფლებების სწორი და ეფექტური მართვა ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეფექტიანობის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით ტრანსფორმირებადი ღია ეკონომიკის პირობებში, რაც ნელ-ნელა თავის დადებით ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე.

ქვეყანაში ეროვნული შოუ ბიზნესის განვითარება ნიშნავს უამრავ ტურისტის შემოდინებას, სახლემწიფოში მეტი სამუშაო ადგილების შექმნას, უცხო ქვეყნიდან ფინანსური სახსრების შემოდინებას და დაბანდებას ამ სფეროში. ყოველივე აღნიშნული კი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად კულტურის შემოქმედებითი სფეროს განვითარებას.

ზოგადი დასკვნები

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და ბიზნესის, მათ შორის შემოქმედებითი სფეროში არსებული ბიზნესის არსისა და მათი ეფექტიანი ფუნქციონირების გზების კვლევის საფუძველზე დისერტაციაში გაკეთებულია სათანადო დასკვნები და მოცემულია რეკომენდაციები:

1. მეწარმეობისა და ბიზნესის თეორიების რეტროსპექტიული ანალიზის კონტექსტში მოცემულია ბიზნესის სოციალურ- ეკონომიკური არსისა და სპეციფიკური ნიშნების ახლებური ხედვა.

2. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსიდან გამომდინარე გაკეთებულია დასკვნა, რომ შემოქმედებით საქმიანობაში დაფუძნებული ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური არსი უნდა მდგომარეობდეს არა მხოლოდ მის მომგებიანობაში, არამედ მათან ერთად მის სოციალურ ორიენტაციაში. ვინაიდან ამ სფეროში ბიზნის არსებობის საფუძველი შემოქმედებითი სფეროს მოღვაწე ადამიანებია, რომლებიც ქმნიან ბიზნეს კაპიტალს.
3. მოცემულია საავტორო უფლებების მართვის სფეროში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სიღრმისეული ანალიზი. კერძოდ ბიზნესი სოციალურ პროექტებზე ორიენტირებულობის დროს მართალია მცირდება ფინანსური სახსრები, მაგრამ მიიღება „მორალური მოგება“. ის კეთილშობილი ბიზნესის სტატუსით მკვიდრდება ბაზარზე. ასეთი ბიზნესი იპყრობს მეტი და მეტი მომხმარებლის ყურადღებას და ნდობას, რაც საბოლოოდ განაპირობებს მის კონკურენტუნარიანობას და საქმიანობის წარმატებას.
4. შემოქმედებით საქმიანობაში - საავტორო უფლებების ეფექტური მართვის გაანალიზების საფუძველზე წარმოდგენილია დასკვნა თუ რა გავლენას ახდენს საავტორო უფლებების ეფექტური მართვა ეროვნული ბიზნესის განვითარებაზე. საავტორო უფლებების ეფექტური მართვა კონკურენტუნარიანს ხდის არსებულ ბიზნეს სუბიექტებს. მსიფლიოში ყველაზე წარმატებული მოდელების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები მათი საქართველოში დასანერგად, განსაკუთრებით მუსიკალური ინდუსტრიის სფეროში.
5. საავტორო უფლებების ეფექტური მართვისათვის შემოთავაზებულია რეკომენდაცია, კერძოდ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და განათლება - კულტურა და შემოქმედებითობა უნდა იყოს ცოდნაზე დაფუძნებული. საზოგადოება უნდა აცნობიერებდეს, ერთი მხრივ

ინტელექტუალურ საკუთრებას - ქვეყნის კულტურას, როგორც თვითმყოფადსა და ერის იდენტობის განმსაზღვრელს, მეორე მხრივ, მის ეკონომიკურ ღირებულებასა და როლს საზოგადოების კეთილდღეობაში;

6. შემოქმედებით სფეროში ბიზნესის მოქნილობის კუთხით გაკეთებულია დასკვნა, რომ თავისუფალი უნდა იყოს კანონიერი წვდომა საავტორო უფლებით დაცულ ობიექტებზე და უზრუნველყოფილი მათი მრავალფეროვნება – საავტორო უფლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ადამიანისთვის (მომხმარებლისათვის), მათ შორის ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, რათა განსაზღვრონ, სად, რა ფორმით გამოიყენონ საავტორო უფლებით დაცული ობიექტები და ამით მიიღონ სარგებელი. აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული ადამიანის უფლება თანაბრად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საავტორო უფლებით დაცული ობიექტების მეკობრული ბაზრით გამოირჩევა, სახელმწიფომ არ უნდა განხორციელოს რადიკალურად ამკრძალავი პოლიტიკა, რაც „ინტელექტუალურ შიმშილს“ გამოიწვევს ქვეყანაში. ლეგალური (კანონიერი) პროდუქციით ეტაპობრივად უნდა მოხდეს არალეგალური (არაკანონიერი) პროდუქციის ჩანაცვლება. საზოგადოება, კი პატივისცემით უნდა იყოს გამსჭვალული განსხვავებული მიმართულების ავტორებისა და ნაწარმოებების მიმართ. დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სფეროში თვითრეალიზება და თვითგამოხატვა სპეციალური ხელშეწყობისა და დაფინანსების მექანიზმების მეშვეობით;

7. საავტორო უფლებების ეფექტური მართვისა და მის ხარჯზე ბიზნესის განვითარების კუთხით საკითხის გაანალიზებისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მექანიზმების შემუშავება და ამ სფეროში მისი ჩარევა. აუცილებელია საავტორო უფლებების დაცვის სფეროს მეტი ყურადღება საჯარო

პოლიტიკის სხვა დარგებთან ურთიერთქმედებაში - შემოქმედებითობა უნდა აისახოს საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა დარგში და უნდა გააჩნდეს ზემოქმედების ეფექტი ამ დარგების განვითარებაზე; ასევე, სხვა დარგებთან ურთიერთქმედების შედეგად, უნდა გაიზარდოს შემოქმედების სფეროს პროდუქტიულობა;

8. საავტორო უფლებების ეფექტური მართვისათვის, ცხადია, უნდა არსებობდეს მრავალფეროვანი საავტორო უფლებით დაცული ობიექტები, რომლისათვის აუცილებელია ავტორების სათანადო ანაზღაურება და სოციალური გარანტიები - სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს შემოქმედებითი სფეროს მუშაკთა შრომის სათანადო ანაზღაურებასა და სოციალურ დაცვაზე; ამ მიმართულებით ნაშრომში გაკეთებულია დასაბუთება, რომ სახელმწიფომ აუცილებელია შემოიღოს შემოქმედებით სფეროში მოღვაწე პირებისათვის გარკვეული საგადასახადო შეღავათები, კერძოდ, ისინი უნდა გათავისუფლდნენ საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან.
9. საავტორო უფლებების განვითარების კუთხით მსჯელობისას მივედით იმ დასკვნაზე, რომ აუცილებელია შემოქმედებითი სფეროს დაფინანსება, რომელიც უნდა, იყოს მზარდი, დივერსიფიცირებული, გამჭვირვალე და სამართლიანი, აგრეთვე აუცილებელია შემოქმედებითი სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რადგან უცხოელი ინვესტორებისათვის ის იყოს მოსახერხებელი და ევროპულ სტანდარტებთან ადაპტირებული;
10. შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება (მუსიკალური ინდუსტრია, საგამომცემლო ინდუსტრია, კინომწარმოებელი ინდუსტრია და სხვები) და მათი საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაცია. ქვეყნის ეკონომიკაში კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოტენციალის გამოყენებისთვის სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მათ

განვითარებას და ეროვნული კულტურის საერთაშორისო კულტურულ სივრცეში დამკვიდრებასა და პოპულარიზაციას.

ამრიგად, საავტორო უფლებების მართვა დადებით ზეგავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარებაზე. მართალია, საავტორო უფლებების მართვისას ბიზნესთან მიმართებაში უარყოფით შედეგებსაც კი აქვს ადგილი (მაგალითად ნაკლები მოუქნელობა, ბიუროკრატია და სხვადასხვა პროცედურები), მაგრამ მთავარია, რომ საკუთარი და უცხოური გამოცდილების დახმარებით შევამციროთ უარყოფითი ეფექტები და მაქსიმალურად გავზარდოთ პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

დისერტაციის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ შრომებში:

სამეცნიერო სტატიები:

1. საავტორო უფლებების მართვა ინტერნეტში. ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, N 3-4, 2016 წ. გვ.174-181.
2. პირატული ბაზრის პრობლემა მუსიკალურ ინდუსტრიაში. ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, N 3-4, 2016 წ. გვ.236-243.
3. უცხოური ინვესტიციების გავლენა საავტორო უფლებების დაცვაზე (მუსიკალური ინდუსტრიის მაგალითზე). ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, N 5-6, 2016 წ. გვ.177-184.

სამეცნიერო კონფერენციები:

4. შენგელია მ. - საავტორო უფლებების მართვის პრობლემები საქართველოში .სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 12.08.2014. თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა პროგრესი გვ- 73-75.

5. შენგელია მ. - სარეკლამო მარკეტინგი და მისი ეკონომიკური ფაქტორები.სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 15.11.201 5. თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა პროგრესი გვ- 82-84
6. “საავტორო უფლებების მართვა და საგადასახადო სისტემა“ (07.02. 2015. კოლქვიუმი).
7. „უცხოური ინვესტიციების როლი საავტორო უფლებების დაცვაში“ (29.07.2015. კოლქვიუმი)
8. „მუსიკალური ინდუსტრიის განვითარება და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში“ (29.07.2015. კოლქვიუმი)
9. „რეკლამა, როგორც ბიზნესის განვითარების საფუძველი“ (07.02.2015 სემინარი)
10. „ბიზნესის როლი ეკონომიკის განვითარებაში“ (29. 07. 2015. სემინარი).